ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

15 იანვარი სამშაბათი 1991 №5 (11638)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოლიდარობას ვუცხადებთ თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირ ლიტველ ხალხს

«ახალგაზრდა ივერიელის» რედაქცია

ვიტაუტას ландсбергисი:

ეს ნამდვილი ომია, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოუცხადა ჩვენს ხალხს.

ფრანგი ტელეჟურნალისტებისათვის მიცემული ინტერვიუდან.

ზვიად გამსახურდია:

ის ომი, რომელიც გამოუცხადეს ლიტვას, არის, აგრეთვე, ომი ჩვენს წინააღმდეგ.

13 იანვარს თბილისში გამართულ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვიდან.

●

საბჭოთა ტანკმა გასრისა 7 წლის ლიტველი გოგონა.

●

დაუზუსტებელი მონაცემებით ლიტვაში წითელი პუტჩის დროს მოკლულია 15 და დაჭრილია 150 კაცი.

●

თბილისი, ბაკო, ვილნიუსი... სად ჩაწერს მორიგ სამარცხვინო ფურცელს წითელი არმია თავის ისედაც სამარცხვინო ისტორიაში?!

●

ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელიც დამპყრობელს საკუთარი ერის წინააღმდეგ მიუძღვის, კომუნისტთა მიერაა შექმნილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

1991 წლის 12-13 იანვრის ღამეს ვილნიუსში საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხნენ ლიტვის ტელეცენტრსა და ქალაქის დაწესებულებებს. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჯარმა გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი და მძიმე სამხედრო ტექნიკა — საბჭოთა სამხედრო ტექნიკა. საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობამ ქალაქში შემოიღო კომენდანტის საათი. ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა თავდასხმა ტელეცენტრზე, სადაც ესროდნენ უიარაღო ხალხს და სრესდნენ სამხედრო ტექნიკით.

დაუზუსტებელი მონაცემებით, მოკლულია 15-ზე მეტი და დაჭრილია 150-ზე მეტი ადამიანი. დაკარგულია პრემიერ-მინისტრი შემენასი. ლიტვის უზენაესმა საბჭომ დანიშნა ახალი პრემიერი ვაგნორიუსი. ვინაიდან ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობას გარს არტყია ლანდსბერგისის ათეულ ათასობით მომხრე, სამხედრო ნაწილები ჯერჯერობით ვერ ბედავენ შენობის შტურმით აღებას და ცდილობენ სამოქალაქო პირთა შორის შეტაკებების პროვოცირებას. „ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტმა“, რომელიც შექმნილია ლიტვის კომუნისტური პარტიის მიერ, თავი თვითნებურად გამოაცხადა უზენაეს ხელისუფლებად და მოუწოდა თავის მომხრეებს დაიკავონ უზენაესი საბჭოს შენობა და დაითხოვონ პარლამენტი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს მტკიცე პროტესტს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლიტველი ხალხისა და მისი კანონიერად არჩეული პარლამენტის წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენებასთან დაკავშირებით და სოლიდარობას უცხადებს ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტს.

ლიტვაში მიმდინარე მოვლენები მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირში იმარჯვებენ რეაქციული ძალები, რომელთაც სურთ ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს „პრეზიდიუმი გმობს ლიტვის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლიან აგრესიას და მოითხოვს საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გამოყვანას ლიტვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია

თბილისი, 1991 წელი, 13 იანვარი. მიტინგი მთავრობის სახახლესთან.

თამაზ ბიბილურის ფოტოები.

ლიტვასთან სოლიდარობის მიტინგი

ლიტველ ხალხთან და მის პარლამენტთან სოლიდარობის მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა 13 იანვარს თბილისში მთავრობის სახლის წინ. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტარები, კონგრესმენები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი იმათ ხსოვნას, ვინც 12 იანვარს ღამით გახდა ვილნიუსში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღისა და მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოყენებით ბარბაროსული ოპერაციის მსხვერპლი.

მიტინგზე გამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა, პარლამენტის წევრებმა თეიმურაზ ჭორიძემ, გურამ პეტრიაშვილმა, ნოდარ ნათაძემ, თბილისში მცხოვრებმა ლიტველმა ვირგინია ივინსკაიტემ, რესპუბლიკის სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გადაჭრით დაგმეს ლიტვის დემოკრატიული ხელისუფლების დამხობისათვის უხეში სამხედრო ძალის გამოყენება.

მომხდარი ამბები, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, მოწმობს, რომ რეაქციული ძალები გადავიდნენ აშკარა შეტევაზე, ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. თავიანთი მოქმედების მომენტი მათ შემთხვევით როდი შეარჩიეს: იმედს იმაზე ამყარებენ, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია სპარსეთის ყურეში შექმნილ კრიზისზე. მაგრამ ისინი, ვისაც მოაქვს ადამიანებისათვის სისხლი და ტანჯვა, დაუსჯელები ვერ დარჩებიან. ამას უკვე მოწმობს პირველი რეაქცია მსოფლიოში და უდიდესი მხარდაჭერა, რომელსაც ლიტვის პარლამენტს უცხადებენ დემოკრატიული ძალები საბჭოთა კავშირში.

შექმნილ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა კონსოლიდაცია ხალხის მიერ არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს გარშემო, ეროვნების მიუხედავად, ყველა, როგორც ერთი, უნდა შეკავშირდეს შეტევაზე გადმოსული რეაქციის წინაშე, რომელმაც საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი. მხოლოდ ასე შეიძლება წინ აღუდგეთ მას, ვიხსნათ დემოკრატია და განვაგრძოთ ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მოიწონეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება ლიტვის ამბებთან დაკავშირებით. მისი ტექსტი მიიღეს როგორც გამართული მიტინგის რეზოლუციაც.

პაატა არჩვაძე
საქინფორმის კორ.

მდგომარეობა ლიტვაში

გუშინ შუადღისას ტელეფონით დავუკავშირდით ვილნიუსში გაზეთ „შანსის“ კორესპონდენტს **ზურაბ ჯავახიშვილს**, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო 12 იანვარს ღამით მომხდარი მოვლენები და ამჟამინდელი მდგომარეობა.

კერძოდ მან თქვა: 12 იანვრის საღამოს ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტის (იცით, ალბათ, რომ იგი შექმნილია სკკპ ბაზაზე) წარმომადგენლები, 50-მდე კაცი მიადგა უმაღლესი საბჭოს შენობას და მოინდომეს შიგ შესვლა, მაგრამ მათ წინ აღუდგა სახელმწიფო დეპარტამენტის დაცვა. ეროვნული ხსნის კომიტეტი მოითხოვდა რადიო-ტელევიზიის გაუქმებას, რადგანაც უკანასკნელ დღეებში სწორედ ტელევიზიის საშუალებით ხდებოდა სიტუაციის კოორდინაცია, მოსახლეობისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

როგორც ირკვევა, სწორედ ეროვნული ხსნის კომიტეტმა მოიწვია სამხედროები ვილნიუსში.

აქ არის სპეცრაზმი, რომელიც ფსკოვიდან ჩამოვიდა. მე ვესაუბრე ერთ-ერთ ჯარისკაცს, რომელმაც თქვა, რომ ისინი ღამის 2 საათზე გააღვიძეს და ისე ჩასხეს თვითმფრინავებში, რომ არ უთქვამთ, სად მიდიოდნენ. როცა ვილნიუსში ჩამოფრინდნენ, მაშინღა გაიგეს სად მოვიდნენ და რისთვის...

ჯარისკაცები და სამხედრო ტექნიკა მაშინვე გაემართა ტელეცენტრისაკენ. აქ მათ პროვოკაცია მოაწყეს, ტელეცენტრის კარებთან დადეს ადრეგარდაცვლილი ჯარისკაცის გვამი (ადრეგარდაცვლილი რომ იყო, ამას ტელევიზიის თანაშრომლები მაშინვე მიხვდნენ, რადგანაც გვამი შოლად გაყინული იყო. ეს შეამოწმა ტელევიზიის დიქტორმა ქალმაც კი...) და ჟურნალისტებს დააბრალეს, რომ თქვენ მოკალითო. შემდეგ შეიჭრნენ ტელეცენტრში და შტურმით აიღეს იგი.

ეს ჰოხდა ღამის პირველ საათზე.

შემდეგ ჯარისკაცები და სამხედრო ტექნიკა სატელევიზიო კოშკისაკენ გაემართა. აქ მანამდე ვილნიუსელებს უკვე მოესწროთ ავტობუსებისა და სატვირთო მანქანების ბარიკადების მოწყობა, მაგრამ ეს ბარიკადები ტანკებით დაანგრიეს და ერთ-ერთი ახალგაზრდა კაცი თავისივე ყიგულში გაჟყლიტეს.

საყურადღებოა, რომ სატელევიზიო კოშკი საცხოვრებელ კვარტალში და სრული პირდაპირ საცხოვრებელ კორპუსებისკენ ხდებოდა. არც ერთ შენობას მინები აღარ შერჩა.

სატელევიზიო კოშკში დაცვის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც შეძლებისდაგვარად გაუმკლავდნენ ჯარისკაცებს, მაგრამ ამაოდ. სულ მალე კოშკიც აიღეს და ვილნიუსის გადაცემები შეწყდა.

ეს ყველაფერი გადაიღეს და ფირზე ჩაიწერეს დასავლეთელმა ჟურნალისტებმა, რომელთაც კაუნასის ტელევიზიის მეშვეობით იმავე ღამეს გადასცეს ეთერში.

ახლა ვილნიუსში საკომენდანტო საათია, საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე.

სამხედროებმა მოინდომეს პრეზიდიუმისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობებში შეღწევა, მაგრამ მათ ხალხის უზარმაზარი მასა გადაეღობა და უკან დაიხიეს. ამჟამად პრეზიდიუმის შენობის წინ 100 ათასზე მეტი კაცი დგას. ისინი მორიგეობით ინაცვლებიან ერთმანეთს.

ასევე არც ერთ სამხედროს არ შეუღწევია ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, რომელსაც ლიტვის პოლიცია თავდადებით იცავს.

უმაღლეს საბჭოში ამჟამად მოსკოვიდან ჩამოსული საპარლამენტო კომისიაა.

ქალაქში კვლავ სამხედრო ტექნიკა და ჯარისკაცები იყრიან თავს.

ჯერჯერობით სიმშვიდეა, თუ კი შეიძლება ამას სიმშვიდე ეწოდოს, მაგრამ სიტუაცია ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

განცხადება

1991 წლის 12 იანვარი

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებამ საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ უაღრესად გაამწვავა მდგომარეობა ჭალაქ ცხინვალში. სწორედ ამ ბრძანებულების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ ოს ტერორისტთა ჯგუფები.

პრეზიდენტის ბრძანებულებით გამხნევებულმა ტეტორისტებმა მოაწყვეს რამდენიმე თავდასხმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების საგუშაგოებზე, რის შედეგადაც დაიღუპა 7 და დაიჭრა რამდენიმე ათეული მილიციის თანამშრომელი.

სსრ კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება ერთ-ერთი გამოვლინებაა კრემლის მიერ აღებული კურსისა ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის აღორძინებისაკენ. ცენტრის დიქტატორული პოლიტიკა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა იმ რესპუბლიკის მიმართ, რომლებიც დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტების ხელმძღვანელობით დაადგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზას.

სარგებლობს რა სპარსეთის ყურის კრიზისის უკიდურესი გამწვავებით და საქართველოს ტერიტორიის ამ რეგიონთან სიახლოვით, კრემლი საბჭოთა არმიის დამატებითი ნაწილების შემოყვანით ფაქტობრივად ამზადებს საქართველოში დიქტატურას — საპრეზიდენტო მმართველობის სახით. ყოველივე ეს გამოიწვევს უკიდურეს დესტაბილიზაციას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიის რეგიონში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთი გზა ჩვენ შინაურ საქმეებში ცენტრის ჩაურევლობაა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს ხმა აიმაღლონ კრემლის დიქტატურის ახალი ტალღის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზვიად გამსახურდია

მდგომარეობა ცხინვალში

ბოლო სამი დღის განმავლობაში საგანგებო მდგომარეობის რაიონში ვითარება კვლავ დაძაბული იყო. 12 იანვარს ღამით საქართველოს მილიციამ ჯავშანტრანსპორტიორებით დაიწყო ქალაქ ცხინვალის სხვადასხვა რაიონში აგებული ბარიკადების დაშლა, რის გამოც ექსტრემისტებმა ცეცხლი დაუშინეს მათ. მილიციამ საპასუხო ცეცხლით უპასუხა. შეტაკებაში დაიჭრა თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომელი, მილიციის მაიორი ალექსი სუბოტინი.

13 იანვარს საღამოს კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ თბილისის უმაღლესი სკოლის კურსანტთა ჯგუფს, რომლებსაც ავტობუსით სურსათი მიჰქონდა სოფელ თამარაშენის მოსახლეობისათვის, თავს დაესხა ოს ექსტრემისტთა რაზმი. მათ ჯერ ხელყუმბარა ესროლეს ავტობუსს, შემდეგ კი ავტომატების ჯერით დაცხრილეს. ავტობუსმა დაკარგა მართვა და გადაბრუნდა. მილიციის სკოლის კურსანტებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს თავდამსხმელებს. ამ დროს აქ მოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილის ჯავშანტრანსპორტიორი, რომელმაც ჰაერში გაისროლა. ამის შემდეგ ექსტრემისტები მიიმალნენ. კურსანტთა შორის არ არიან დაჭრილები და მოკლულები.

14 იანვარს დილით ცხინვალში შედარებით სიმშვიდე იყო.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

საქინფორმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსაგან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცხინვალში საქართველოს მილიციის მუშაკების: გუბაზ გიორგის ძე კევლიშვილის, ტარიელ პოლიკარპეს ძე კოპალეიშვილის, სევერიან აბესალომის ძე თევზაძის, ზურაბ ზურაბის ძე გოგიჩაიშვილის, ვლადიმერ ალექსის ძე ლობჟანიძის ტრაგიკული დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს.

დაღუპულთა დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ნუგზარ ბიბაშვილის ნახატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთმინების ფიალა ივსება...

უსაზღვროა ქართველი ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება. ეს გამოიხატა სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ მიერ ამასწინათ გორში ჩატარებული მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგით. მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ა. მარგიანმა.

სიტყვა ეძლევა სრულიად საქართველოს ორგანიზაცია „ლემის“ თავმჯდომარეს აკაკი გასვიანს.

— ჩვენ კიდევ იმედს არ ვკარგავთ, რომ დღემდე ძმებად შერაცხულ ოსებს შორის გამოერევიან კეთილგონიერი ადამიანები, რომლებიც დაიკავებენ თავიანთ ექსტრემისტ თანამოძმეებს და არ მისცემენ ორი მეზობელი ერის სამკვდრო-სასიცოცხლო გადაჯიდების საშუალებას. თუ მაინც გამართლდა იმპერიულ ძალთა ჩანაფიქრი, რასაც სრულიად საქართველო აღუდგება წინ, მაშინ მოსალოდნელი საბედისწერო შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად სსრკ ავშირის პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს და ოს ექსტრემისტებს დაეკისრებათ. „ლემის“ მრავალ ათასიანი ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად უჭერს მხარს ხალხის მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს, ქართველ ხალხთან ერთად მზად არის საბჭოთა იმპერიის მიერ ისედაც დაქუცმაცებული საქართველოს ტერიტორიის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დასაცავად — აღნიშნა ორატორმა.

მიტინგის მონაწილეთა მხურვალე მოწონება დაიმსახურა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრის ბესიკ საბაშვილის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის ომარ ელოშვილის, ორგანიზაცია „ლემის“ აღმოსავლეთ საქართველოს თავმჯდომარის მოადგილის ოთარ ონიანის, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ჯულიეტა მილდიანის, ორგანიზაცია „ლემის“ ზემო სვანეთის თავმჯდომარის, დოცენტ შოთა ჩართოლანის, პოეტ ერეკლე საღლიანის გამოსვლებმა.

მიტინგზე ქართველ ებრაელთა სახელით გამოვიდა გორის მკვიდრი დალი წიწუაშვილი, გორის საქალაქო საბჭოს შენობაში მოშიმშილე ოსი დედების სახელით — ეკატერინე ბოსიკოვა.

სსრკ კავშირის პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულების მიმართ პროტესტის ნიშნად მოშიმშილეებს შეუერთდა გორში მცხოვრები რამდენიმე ოსი ახალგაზრდა. მოშიმშილენი მოითხოვენ ოსი ექსტრემისტების დასჯას, პრეზიდენტის მიერ მიღებული ანტიკონსტიტუციური და ანტიქართული ბრძანებულების გაუქმებასა და მშვიდობიანობის აღდგენას სამაჩაბლოში.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტისადმი, საქართველოს უზენაესი საბჭოსა და რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხებისადმი.

ასლან კორძაია,
ორგანიზაცია „ლემის“ ნაფიცთა საბჭოს წევრი, ჟურნალისტი.

●

სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

პირდაპირ უნდა გითხრათ, ბატონო პრეზიდენტო, რომ 7 იანვრის თქვენეული ბრძანებულება-ნებათით მართლა ჩაგვიშხამეთ შობის დღესასწაული, მაგრამ ღვთის ძალა იმაშიც გაცხადდა, რომ თქვენი სატანური ჩანაფიქრი თქვენივე საზიანოდ შემობრუნდა.

ჯერ ერთი, მთლიანად ჩამოეხადა ნიღაბი თქვენს დოქტრინას და მთელმა ქვეყანამ დაინახა, რომ „მეფე შიშველია“, მეორე, უკვე ყველასათვის ნათელი გახდა რომ 9 აპრილის, ყარაბახის, ფერღანას, ბაქოს თუ სოხუმის ტრაგედიების ავტორი და უშუალო დირიჟორი თქვენ ბრძანდებით; მესამე, საქართველოში მთელი ხალხი ერთიან მუშტად შეიკრა თავისი ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად — თვითშენახვის ინსტინქტი იმპერიის კედლებს როდი ეპუება. და რაც მთავარია, თვით ოსი ხალხი აღდგა თქვენს წინააღმდეგ. ოსმა დედებმა სასიკვდილო შიმშილობა გამოაცხადეს თქვენი ბრძანებულების გაუქმების მოთხოვნით. თქვენი უსამართლობა უბრალოდ აუტანელი გახდა.

იცით, რისი იმედი მაქვს? უთანასწორო ბრძოლაში საბოლოოდ მაინც, ღვთის შეწევნით, სამართლიანობა იმარჯვებს. აბა, გაიხსენეთ მიუხედავად პოსეიდონის გაბოროტებისა, როგორ იმარჯვებს ოდისევსი ასჯერ უფრო ძლიერ მტრებთან ბრძოლაში ქალღმერთი ათინას მფარველობით. საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხდომილი ქვეყანაა...

დღეს ფაქტიურად თქვენივე იმპერიული ბრძანებულებით მხარში უდგახართ და იცავთ ერთი მუჭა ოს ექსტრემისტებს, სეპარატისტებსა და ტერორისტებს, რომლებსაც დაუმონებიათ სამაჩაბლოში მცხოვრები ქართველები და მუსრს ავლებენ. ასეთ დროს კი თქვენი რჩევით ქართული მილიცია უნდა გამოვიყვანოთ იქიდან? კარგი რჩევაა ღმერთმანი!

თუმცა თქვენმა წინამორბედებმა მსგავსი მზაკვრობით მოქნილად განახორციელეს თქვენეული იმპერიული ჩანაფიქრი „ვლადიკავკაზი“, „ვლადივოსტოკ“ და „ვლადიმირის“ ყინით შეპყრობილ არმიას ცხვირ-პირი დაუმტვრია გმირმა ავღანელმა ხალხმა. ახლა კი იწყება „დევლადიკავკაზობისა“ და „დევლადივოსტოკობის“ ეპოქა. თქვენი იმპერიის შაგრენის ტყავი ღღითიდღე იკუმშება. ამას უნდა შეეგუო, ბატონო სსრკ-ს პრეზიდენტო.

ახლა კი გირჩევთ, გააუქმოთ 7 იანვრის ბრძანებულება და ბოდიში მოუხადოთ ქართველ და ოს ხალხებს. ამით შეიძლება „რაინდობის ტიტულსაც“ გამოკრთან ხელი და ნობელის პრემიის ლაურეატობის ღირსებაც შეინარჩუნოთ. გახსოვთ, ქრისტემ როგორ დაბანა ფეხები თავის მოსწავლეებს?!

ზაურ ჩქვანავა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

●

გორბაჩოვის მედლის კოროზირებული რევერსი

10 იანვარს პროგრამა „ვრემიამ“ მისთვის ჩვეული „გონებამახვილობით“ გადმოსცა სიუჟეტი, რომელშიც ვიხილეთ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ვინმე ბუჩუკურის „ცეცხლოვანი“ გამოსვლა.

ამ გამოსვლამ ქართველი საზოგადოების დიდი აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ მოდით ბუჩუკურს პირობითად გორბაჩოვის „მედალი“ დავარქვათ და ამ კოროზირებულ „მედალს“ მეორე მხრიდანაც შევხედოთ. რას დავინახავთ მედლის რევერსზე? დავინახავთ ქართული გვარის მატარებელ კაცს, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და დაბერდა ოსთა ისტორიულ სამშობლოში. ჰოდა, რაკი იქ დაიბადა და დაბერდა, ბუნებრივია სამშობლოდაც მას თვლის. მაშასადამე იცავს იმ ხალხს, ვის წარმომადგენლადაც თვლის თავს.

მართალია პროგრამა „ვრემიას“ მესვეურებს და ჩრდილოეთ ოსეთის ვიღაც-ვიღაცეებს ჰგონიათ, რომ ამ ქართულგვაროვანი „რუსულენოვანი“ კაცის გამოსვლით ქართველ ხალხს ლახვარი ჩასცეს, მაგრამ იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ეს „ჭკვიანური“ სვლა უკანვე უბრუნდებათ ბუმერანგად. რას აგებინებენ ისინი მრავალმილიონიან აუდიტორიას? რას და იმას, რომ ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობენ ქართველები, რომლებიც, მიუხედავად ასწლიანი სტაჟისა, განა ავტონომიას ითხოვენ, განა მათი მიწის მიტაცებასა და საქართველოსთან მიერთებას ითხოვენ, პირიქით — ჩრდილოეთ ოსეთს თავის სამკვიდროდ და სამშობლოდ თვლიან და ოსთა ინტერესების დასაცავად საკავშირო ეკრანებთაც იბრძვიან.

ჩვენთან კი რა ხდება? ის, რომ ჩვენებური ოსი „ბუჩუკურები“ ჩვენს მიწაზე კი დაიბადნენ და გაიზარდნენ, ჩვენს პურსა და მარილს კი სჭამენ, მაგრამ საქართველოს ინტერესებს კი არ იცავენ, არამედ შინ და გარეთ გვლანძღავენ, გვებრძვიან, მიწასაც გვართმევენ! ეი, ბატონო, მედლის ორივე მხარე და ძალად უნდა იბრიყვებდე თავს, მტყუანი და მართალი ვერ გაარჩიო!

ნეტავ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან მცხოვრები ყოველი არაქართველი დედაბუდიანად „გაბუჩუკურდებოდეს“ და საქართველოს დასაცავად ხმალამოღებული დადგებოდეს! ვინც ეგეთი კაცი არ იქმო, ძმა და მეგობარი არ ღირსებოდეს ამ ქვეყანაზე!

ოსეთში მცხოვრებ ბუჩუკურს მხოლოდ ის ეშლება, რომ სამშობლო და სამკვიდრო, რომელსაც ის იცავს, მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთშია, ხოლო ე. წ. სამხრეთ ოსეთი საერთოდ არ არსებობს!

კიდევ ის ეშლება, რომ რახან ქართული გვარის ტარება არ რცხვენია (საქართველოს ასეთი სიძულვილის შემდეგ!), წესით და რიგით ამ დიდებული გვარის ისტორიულ სამშობლოსაც უნდა სცემდეს ადამიანურ პატივს. რამდენი ქართული გვარის კაცი ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომლებიც სამკვიდრებელსაც სცემენ პატივს და ისტორიულ სამშობლოსაც!

კიდევ ის ეშლება, რომ კრემლის გულის მოსაგებად გულზე ხელის ბრაგუნით რომელიღაც სოციალისტურ საერთო საცხოვრებელში გვერეკება და იმას კი ვერ ხვდება, რომ ვის სად და როგორ გვინდა ცხოვრება, რბილად რომ ვთქვათ, მისი მოკლე ჭკუის საქმე არ არის!

ხოლო რაც შეეხება ისეთ მარადიულ ცნებებს, როგორიცაა „სამშობლო“, „ეგზომარიტება“, „ისტორია“ და სხვა, იქნებ ამ სიბერეში მაინც ჩაწვდომოდა.

იმავე საღამოს ბატონი ნოდარ ლომოურის სატელევიზიო გამოსვლა ვნახე. სასურველია ბატონი ნოდარის ეს შესანიშნავი გამოსვლა კიდევ მრავალჯერ გადაიცეს ქართულ და რუსულ ენებზე, თანაც არა მარტო საქართველოს ტელევიზიით!

ყველა ნორმალურმა ქართველმა და ოსმა იცის, დღეს ვინ ვის ებრძვის საბჭოთა კავშირში, რუსეთში, საქართველოში...

9 დეკემბერს მტერმა და მოყვარემ, ყველამ ვისაც კი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომის პირდაპირ გადაცემას ადევნებდა თვალყურს, კარგად დაინახა, რომ უზენაესი საბჭოს სრული შემადგენლობა და მათი თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია არა ოსი ხალხის საწინააღმდეგოდ, არამედ მათივე ინტერესების დასაცავად, სწორედ ჭეშმარიტი ძმობის დასამკვიდრებლად ეძებდნენ ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს. გორბაჩოვის საშობაო ულტიმატუმი ხომ საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელია!

დიახ, ჭეშმარიტ ძმობას წინ ვერაფერი დაუდგება და ეს რომ ასეა, კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს სწორედ ოსი ეროვნების ჩვენმა თანამემამულეებმა, რომლებმაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების მხარდასაჭერად და გორბაჩოვის უკანონო ბრძანებულების გასაუქმებლად უვადო შიმშილობა გამოაცხადეს.

ასეთ არაქართველებთან ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს!

საქართველოს თავისუფლება ყველა მისი შვილის თავისუფლებაა! ხოლო იმან, ვინც საქართველოს შვილად არ თვლის თავს, გაიხსენოს ზნეობრივი ვალი და რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს მიტოვებულ დედას.

უდედო შვილი კი სამყაროში არ არსებობს!

ამირან კალაძე

●

საქართველოს ახალგაზრდობის ფონდ „მამულის“ მიმართვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვისადმი

საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული“ გამოთქვამს პროტესტს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების გამო და აფასებს ამ ბრძანებულებას, როგორც მომაკვდავი იმპერიის კიდევ ერთ მზაკვრულ აქციას, მიმართულს დეკოლონიზაციისა და თავისუფლების გზაზე დამდგარი მცირე ერებისადმი.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება უხეშად არღვევს იმ ფარისევლურ სუვერენიტეტსაც კი, რომლითაც წლების განმავლობაში დამპყრობის მიერ არის „დაჯილდოებული“ საქართველო. ეთნოკონფლიქტები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით არის ინსპირირებული კრემლის მიერ და გამოიყენება როგორც უზნეო მეთოდი ცივილიზებული სამყაროს წინაშე ჟანდარმის როლის გამართლებისა და შენარჩუნებისათვის.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული“ და გაზეთი „დვრიტა“ მიიჩნევენ საქართველოს ერთადერთ კონსტიტუციურ ხელისუფლებად საქართველოს უზენაეს საბჭოს და მთლიანად მხარს უჭერენ მის გადაწყვეტილებას ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გაუქმების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრიდან საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში პროვოკაციულ ჩარევებს ჩვენ აღვიქვამთ ომის გამოცხადებად ქართველი ერის მიმართ და ამიტომ პოლიტიკური მდგომარეობის შემდგომი ესკალაციის პირობებში შესაძლო სისხლისღვრა მთლიანად დაეკისრება კრემლს.

●

რუსეთის იმპერიის „პრეზიდენტს“ მიხეილ გორბაჩოვს

თქვენი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება ლენინურ-სტალინური პოლიტიკის ტიპიური ნიმუში და იმპერიის აგონიის კიდევ ერთი დადასტურებაა. კრემლი მის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების შედეგად გამოწვეული სისხლის ღვრითა და დამსჯელი ექსპედიციებით ცდილობს დანაშაულებრივი იმპერიის შენარჩუნებას, რაც ფაქტობრივად უკვე შეუძლებელია. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი არასოდეს შერიგებია მონობას, მაგრამ ბრძოლა ყოველთვის ზნეობრივი იყო, იგი არასოდეს ისახავდა მიზნად საქართველოს მიწაზე მცხოვრები ერების ჩაგვრას, მათ განადგურებას, ერთაშორის შუღლსა და სისხლისღვრას.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ყველა საშუალებით აღუდგება წინ იმ მოდელის განხორციელებას, რომელსაც ასეთი წარმატებით შეასხით ხორცი ყარაბაღში, ფერღანაში, მოლდავეთში... ოსი ერი ჩვენი მტერი არ არის, ჩვენი და მათი საერთო მტერი რუსეთის იმპერიაა; ის იმპერია, რომელმაც ორგზის — 1801 და 1921 წლებში დაიპყრო 30-საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველო და რომლის ბრძოლის ძირითადი მისია და მიმართულება — ერთიანი, განუყოფელი და თავისუფალი საქართველო იყო და იქნება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან კატეგორიულად გიცხადებთ: შეწყვიტეთ ყოველგვარი სამხედრო დიქტატი, უარი თქვით მენტორის როლზე, რესპუბლიკების საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევაზე და დამონებულ ერებს მიეცით თავის ისტორიულ მიწა-წყალზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალება. ვინაიდან თქვენი იმპერიული ზრახვები სისხლისღვრის აუცილებლობას გაარნახობთ, ჩვენ, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია ვიღებთ ამ გამოწვევას და მზად ვართ უთანასწორო ბრძოლაში — როგორც 9 აპრილს, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის სამსხვერპლოზე მივიტანოთ ჩვენი სიცოცხლე.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია

სსრკ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს!
ბატონო პრეზიდენტო.

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირის თბილისის უმაღლესი კომერციული სასწავლებლის — (ბიზნესის ინსტიტუტი) პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ერთსულოვნად გმობენ თქვენს არაკონსტიტუციურ ბრძანებულებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ინსტიტუტის თანამშრომლებს და სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ თქვენი „საშობაო“ ბრძანებულება აშკარა ხელყოფაა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებებისა და იმის მცდელობა, რომ ცენტრის სამხედრო ჩარევის გზით ჩახშობილ იქნას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და კვლავ უკუღმა იქნას შეტრიალებული ისტორიის ჩარხი. თქვენს მიერ გამოცემული ბრძანებულება და მასში ჩადებული არაზუსტი ფორმულირებები, შეფასებები და ტონი მიგვაჩნია ქართველი ხალხის ინტერესების აშკარა შელახვად და 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შეფასების შურისმაძიებლობის გამოვლინებად.

ცენტრის ჩარევა სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში იმის დადასტურებაა, რომ იგი ცდილობს „გათიშე“ და „იბატონეს“ პრინციპით ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის პროცესის გაღრმავებას, ექსტრემიზმის გაფართოებას და ყოველი საშუალებებით საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებას.

გამოვთქვამთ რა პროტესტს თქვენი 7 იანვრის ბრძანებულების მიმართ, მოვითხოვთ ამ ბრძანებულების აუცილებელ გაუქმებას.

აღნიშნული მიმართვა ერთსულოვნად მოწონებული იქნა ინსტიტუტში გამართულ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიტინგზე.

ინსტიტუტის ყველა თანამშრომლის, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა სახელით — ინსტიტუტის რექტორი ომარ კერესელიძე

●

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის განცხადება

მამულიშვილნო!
ღვთისშვილნო!

მძიმე განსაცდელის ჟამი დაგვიდგა.

სარგებლობს რა სპარსეთის ყურის კრიზისის გამწვავებით, საბჭოთა იმპერიული ხელისუფლება ცდილობს, განახორციელოს ე. წ. საბჭოთა კავშირში შემავალი კოლოსალური და ანექსირებული ქვეყნების რეკოლონიზაციისა და რეანექსიის წინასწარ შემუშავებული გეგმა, რასაც კიდევ ერთხელ მოწმობს ახლახან ლიტვაში მომხდარი სისხლიანი ტრაგედია.

თუკი რაიმე არ ვიღონეთ, მსგავს ბედს მალე გაიზიარებს საქართველოც.

სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, უახლოეს დღეებში უნდა გაიმართოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს ეროვნული კონგრესის გაერთიანებული სხდომა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესსა და უნეტარესის ილია მეორისა და ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა შემუშავდეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალთა ერთობლივი მოქმედების გეგმა თვისებრივად ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში.

გვესმის ზმა უფლისა, ერთიანობისა და თანადგომისაკენ რომ მოგვიწოდებს სატანისეულ ძალთა წინააღმდეგ.

ღმერთი იყოს ჩვენი შეარველი!

„ჩვენ ჰიტლერ ქართველები ვართ და...“

**ვაჯიანები ერ ამბობთანავე შენებანან საქმითა სანალოო კოლეგიალიკანთა არსებული საერო�ული კომეტინის მოსანინანა, ფაკიანა ბანალეთი ფაკანალეთისაკენ, და შეიპანინა რა საბერძნო, რომ ოო ოთოოოოლ ბოლო ფოლინ ფა საბერძნოთ ბოლელ ოოოლ ბოლო. ოოოლეთან ბერძნელიანლანან ფაკიანეთ ბერძენ ბერძენ ბერძენ ფა ბერძენ — ბერძენ ოოოლ ბოლელ ბერძენ ბერძენ ბერძენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროების (უწყებების), ადგილობრივი საბჭოების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების, ასოციაციების, საიჯარო და ერთობლივი საწარმოების ხელმძღვანელებისა და სხვა იურიდიული პირების საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სამრეწველო-სამშენებლო ბანკის გამგეობა გირჩევთ თქვენს ანგარიშებზე არსებული დროებით თავისუფალი სახსრები დააბანდოთ ჩვენს ბანკში, რისთვისაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სახსრების დაბანდების ვადის შესაბამისად მიიღებთ საკმაოდ სოლიდურ პროცენტებს დივიდენდის სახით.

თქვენს მიერ ჩვენს ბანკში დაბანდებული თავისუფალი სახსრების ხარჯზე ლაკრედიტდება საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებები.

ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს სამრეწველო-სამშენებლო ბანკი რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი საკრედიტო დაწესებულებაა, რომელიც თავისი ფილიალების მეშვეობით უზრუნველყოფს კლიენტურის ოპერატიულ კომპლექსურ საბანკო მომსახურებას და აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რესურსები.

საოპერაციო სამსახური აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, საქართველოსა და სსრკ ყველა რესპუბლიკის ბანკის დაწესებულებებთან აქვს — სატელეტაიპო და სატელეფაქსო კავშირი და არის საიმედო პარტნიორი.

ჩვენთან ურთიერთობა აგებული იქნება ურთიერთდაინტერესების, ურთიერთხელსაყრელ და პარტნიორულ საფუძველზე.

თავი იგულეთ ჩვენი ბანკის სასურველ პარტნიორად და მოგვმართეთ მისამართით: 380008, ქ. თბილისი —8, ჯორჯიაშვილის ქ. №14 ოთახი 312. და 330.

ტელეფონები: 93-53-89 ან 99-99-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფურმანოვი“ წითელ ზღვაში მიცურავდა

ამერიკულმა კრეისერმა „მისისიპმა“ და ესპანურმა ფრეგატმა „ინფანტმა ქრისტინამ“ წითელ ზღვაში გააჩერეს საბჭოთა გემი „დმიტრიი ფურმანოვი“ და მოითხოვეს „დოკუმენტების წარმოდგენა“. გამოირკვა, რომ თბომავალს, რომელიც ჩაპაევის კომისრის სასიქადულო სახელს ატარებს, იორდანიაში მიჰქონდა 106 ტონა სამხედრო დანიშნულების სათადარიგო ნაწილები და მაკომპლექტებელი ნაკეთობები, რომელიც ჰაშიმიტის სამეფოს ეგზავნება ადრევე დადებული საერთაშორისო სამთავრობო შეთანხმების ძალით.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების თანახმად ამერიკელ და ესპანელ მეზღვაურებს ჰქონდათ ამგვარი მოქმედების უფლება. იურისტები გაარკვევენ, არღვევს თუ არა საერთაშორისო ზელშეკრულებას საბჭოთა მხარე. მაგრამ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯუა სულ დავკარგეთ? ხომ ვიცით, ყურეში რომ ომი ატყდეს, იორდანია სადამ ჰუსეინს მიემხრობა. ჩვენები ჩაპაევის პირდაპირობით აცხადებენ, რომ ამ ინციდენტს აღიქვამენ „საბჭოთა სავაჭრო ფლოტის კომერციული მოღვაწეობის საწინააღმდეგო ქმედებად“. რა დროს ამგვარი კომერციაა, როცა მთელი მსოფლიო დენთის კასრზე ზის?

არა მგონია არსებობდეს საბჭოთა კავშირ-ერაყის საიდუმლო კავშირი იარაღის იატაკქვეშა მიწოდებაზე და ა. შ. ჩემი აზრით, ეს კიდევ ერთი ნიმუშია ჩვენი უთაურობისა, რის გამოც, უკვე მერამდენედ, სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

ა. ვასილევი

აშშ ოფიციალური პირების განცხადებით, გემზე აღმოაჩინეს ტანკების სათადარიგო ნაწილები, დეტონატორები, ყუმბარის სატყორცნები. ფიქრობენ, რომ ისინი განკუთვნილი იყო ერაყისათვის, რაც არღვევს ბაღდადთან ვაჭრობაზე აკრძალვის საერთაშორისო სანქციას, თეთრი სახლის სპიკერმა მარლინ ფიცუოტერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტვირთის ნაწილი არ იყო მოხსენიებული დეკლარაციაში. თუმცა არ აღნიშნა, თუ კერძოდ რომელი ნაწილი. გუშინ კი ტელეკომპანია სი-ენ-ენის უკანასკნელ ცნობებში ითქვა, რომ ტვირთი საერთოდ არ იყო დეკლარირებული.

ადმინისტრაციის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ მათ ორი მიზეზის გამო აქვთ უფლება გამოთქვან ეჭვი, რომ ტვირთი სწორედ ერაყისათვის იყო განკუთვნილი. პირველი—ტვირთის ნაწილი ტანკების სათადარიგო ნაწილები — იორდანიისათვის იყო განიზნული, მეორე — თუმცა ბოსკოვი ამტკიცებს, ტანკებიხ სათადარიგო ნაწილები იორდანიისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ამერიკელების მონაცემებით იორდანია შეიარაღებაში საბჭოთა ტანკებს არ იყენებს.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ რწმუნებით, აქაური ოფიციალური პირები ცდილობენ რა მომხდარი ამბის შელამაზებას, აცხადებენ: „თუნდაც აღმოჩნდეს, რომ ეს ტვირთი კონტრაბანდაა, მათ არ სჯერათ, რომ სსრკ-მ გადაუხვია ერაყის საწინააღმდეგო საერთაშორისო კოალიციის მხარდამჭერ კურსს“.

ვითარების გარკვევამდე საბჭოთა გემი დაკავებულია აქაბის პორტის რაიონში.

ე. ოვჩარენკო.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ნიუ-იორკი.

1991 წლის 10 იანვრის „კომსომოლსკაია პრავდა“.

პრეზიდენტის ახალი „რაზმი

იგორ კლიამკინი, პოლიტოლოგი:

„მე მოვლენების შემდგომი განვითარების ორ შესაძლებელ სცენარს ვხედავ.

პირველი: ცენტრალური ხელისუფლება იწყებს რეფორმებს იმ იმედით, რომ მართვადი არმიისა და „თავდაცვითი შეგნების“ შენარჩუნება მას საშესაც შეუნარჩუნებს. და თუ საჭირო იქნება, ძალის გამოყენებითაც ჩაახშობს უკმაყოფილებას, ეს იქნება ავტორიტარიზმისკენ გადადგმული ბოლო და გადამწყვეტი ნაბიჯი, მისი საბოლოო ჩამოყალიბება, რასაც გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება ყველასათვის და მათ შორის — თავად ცენტრალური ხელისუფლებისათვისაც.

მეორე სცენარი: ბორბაჩოვი თავის გაძლიერებულ პირად ძალაუფლებას პირველ რიგში იმისათვის გამოიყენებს, რომ ძალაუფლების მნიშვნელოვანია ნაწილა ცენტრიდან რესპუბლიკებში გადაინაცვლოს. ამ სცენარის არსი შემდეგში მდგომარეობს: თავიდან — სამოკავშირეო ხელშეკრულება და რესპუბლიკების პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მხოლოდ შემდეგ — ნახტომი საბაზრო ეკონომიკისაკენ...“

1990 წლის ივნისი

ძნელი სამარჩიელოა, ვინ შევა ახალ კაბინეტში...

ვიცე-პრეზიდენტი



პრემიერ-მინისტრი



უშიშროების საბჭო



სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი



სსრკ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე

სსრკ შსს მინისტრი

1. პრეზიდენტის ახალი „რაზმის“ პირველი ნომერი უკვე სახეზეა: — ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი გახდა გენადი იანაევი. კაცი, რომელიც მტკიცედ დგას სკკპ პლატფორმაზე, მაგრამ გამოკვეთილად არც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, არც პარტაპარატს, არც რომელიმე რეგიონს არ წარმოადგენს. ლოიალურია პრეზიდენტისადმი, არა აქვს სწრაფვა ზედმეტი დამოუკიდებლობისადმი. ჩანს, სწორედ ამ თვისებებმა განსაზღვრა პრეზიდენტის არჩევანი.

2. მინისტრთა კაბინეტის მეთაურის პოსტზე ორი რეალური კანდიდატურაა: სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ახლანდელი თავმჯდომარე ი. მასლიუკოვი და ფინანსთა მინისტრი ვ. პავლოვი. ორივე ძლიერი პროფესიონალი და მოქნილი პოლიტიკოსია, არასდროს განუცდიათ რადიკალიზმის გავლენა, ახლოს არიან სამხედრო სამრეწველო კომპლექსთან.

3. უშიშროების საბჭოს, როგორც ჩანს, თავად პრეზიდენტი ჩაუდგება სათავეში. იდეაში ეს იქნება წარსული პოლიტბიუროს მსგავსი ფართო უფლებამოსილების მქონე უმნიშვნელოვანესი ორგანო. სავარაუდოა, რომ ძირითადი ბრძოლა აქ ხელმძღვანელის ფიგურის კი არა, ამ ორგანოს უფლებამოსილებებისა და ფუნქციების გამო გაიმართება.

4. საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის პოსტზე მოსვლის ყველაზე მეტი შანსი აქვს სკკპ პოლიტბიუროს წევრს ა. ძასოხოვს, შეიძლება განიხილონ ე. პრიმაკოვისა და ზოგიერთი პოლიტოლოგის მიერ დასახელებული, გაეროში სსრკ-ს წარმომადგენლის ი. ვორონცოვის კანდიდატურები.

5. სუკ-ის თავმჯდომარე ვ. კრიუჩკოვი უთუოდ შეინარჩუნებს თავის პოსტს, რადგან ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების გაძლიერება ამ პოსტზე საიმედო და შემოწმებულ კაცს ითხოვს.

6. ეს ეხება, აგრეთვე, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ახლახან დანიშნულ ბ. პუგოს.

თუმცა ეს პროგნოზები საკმაოდ პირობითია. გ. ნანაევის მაგალითი ადასტურებს, რომ პრეზიდენტს სრულიად მოულოდნელი სვლის გაკეთება შეუძლია. ამას ემატება ისიც, რომ ახალმა დანიშვნებმა უზენაეს საბჭოშიც უნდა გაიაროს, რომლის ხელმძღვანელს ა. ლუკანოვს ბევრ პოზიციასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გააჩნია.

...ბევრად უფრო ადვილია იმის თქმა, თუ ვინ არ იქნება იქ

ალექსანდრ იაკოვლევი

გორბაჩოვის „ხასტარტო“ რაზმიდან ის პირველი გარიყეს, როგორც კი პოლიტიკურმა გუმმა მარჯვნივ მოუხვია. იაკოვლევი თავისი შეხედულებების გამო უხერხული კაცია. ალექსანდრ ნიკოლაის ძე დღემდე თვლის, რომ 1985 წელს ჩვენი ხაზოგადოებისათვის დასმულ დიაგნოზს შეხწევლა სჭირდება — ჩვენ დღესაც არ ვიცით ბევრი რამ. იაკოვლევის აზრით, საჭიროობა ეს მარტო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მინაჭებული ხიტყვის თავისუფლება როდია. ეს არის მთელი საზოგადოების საჭიროობა. ასეთი საჭიროობა კი ჩვენ არა გვაქვს. აღმასრულებელი ძალაუფლება ჩაფლავდა, მაგრამ რატომღაც სამეურნეო კავშირების მოშლაზე პირველად სწორედ სამინისტროებმა და უწყებებმა, ესე იგი იმათ განაცხადეს, ვინც თავად, უშუალოდ აგებს პასუხს მათ სიმტკიცეზე.



ედუარდ შევარდნაძე

1985 წელს მინისტრის პოსტზე მისმა დანიშვნამ ბევრის გაოგნება და ზოგიერთის ირონიული დიმილი გამოიწვია. მაგრამ ედუარდ ამბროსის ძემ არა მარტო თავისი უშუალო ქვეშევრდომები, არამედ მთელი მსოფლიოს დიპლომატები და ხალხმწიფო მოღვაწეებიც ძალზე სწრაფად აიძულა პატივისცემით ელაპარაკათ მასზე.

საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელი იყოს შევარდნაძის დაბრუნება ხალხმწიფო სტრუქტურებში. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ედუარდ ამბროსის ძე „არაფორმალური“ ხაჭმიანობის დაწყებას აპირებს საგარეო პოლიტიკის ასოციაციის ფარგლებში, რომელსაც ამჟამად აუალიბებს.

ბორის ელცინი

საერთო პოლიტიკური განხიბვლის პირობებში თანამედროვე ლიდერებიდან მან, როგორც არავინ, შეხძლო საკუთარი პოლიტიკური რეიტინგის შენარჩუნება. მართალია, რუსულმა პარლამენტმა, რომელსაც ის მეთაურობს, უკვე დათმო რიგი პოზიციები (მაგალითად, პროგრამა „500 დღე“), მაგრამ მიუხედავად ამისა, შეხწევს ცენტრთან კამათისა და კომპრომისების გამონახვის უნარი.

თუმცა უკან დასახევი გზაც ფაქტიურად მოკრილი აქვს. და თავად ბორის ელცინიც, მტიცედ დაუკავშირა რა საკუთარი ბედი რუსეთს, ძნელად თუ იტყვის უარს საკუთარ პრინციპებზე.

გრიგორი იავლინსკი

ამ ოცდათვრამეტი წლის მეცნიერებათა კანდიდატმა ექვსთვენახევარი იმუშავა რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. დარჩა რა თავისი სიტყვის ერთგული, გადადგა, როცა უარი ეთქვა მის პროგრამას „500 დღე“.

მისი სიტყვებით, „ჩვენ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, საიდანაც გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს მხოლოდ სპეციალურად შერჩეულმა ძალზე თანამედროვე რაზმმა, რომელსაც ექნება უფლებამოსილება და შეეძლება თავისი გადაწყვეტილებების განხორციელება“.

ჩანს, იავლინსკის არ სჯერა, რომ გორბაჩოვის რაზმი სწორედ ასეთი იქნება.



იური რიჟოვი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრკ უმაღლესი საბჭოს მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულამდე საავიაციო ინსტიტუტის რექტორი იყო, ამჟამად ის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტია ეროვნული უსაფრთხოების დარგში, მაგრამ... ძალზე დამოუკიდებელი აზრებიც აქვს. ეროვნული უსაფრთხოების მისეული კონცეფცია პროგრამა „500 დღეს“ ენათესავება.

პროგნოზი მოამზადეს: ა. ვასილიევმა, ი. გრიჩერმა, ს. დროზდოვმა, ა. პანკრატოვმა, ი. სიჩკამ.
1991 წლის 12 იანვრის „კომსომოლსკაია პრავდა“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საყოველთაო განხილვისათვის გამოაქვეყნა კანონპროექტი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“. ყოველ სამშაბათსა და პარასკევს 12.00 საათზე დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის კონფერენცდარბაზში გრიბოედოვის 19, I სართული) იმართება კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის სხდომები. მასზე დასწრება თავისუფალია. მსურველებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები.

საინიციატივო ჯგუფი.

საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის

განცხადება

სამაჩაბლოში შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრებს და მხარდამჭერებს განცხადების გამოქვეყნებიდან 3 დღის განმავლობაში ვთხოვთ გამოცხადდნენ პარტიის შტაბბინაში:

ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. № 6, ტელ. 98-78-47.

წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!

კოოპერატივი „არმაზი-88“ 1991 წლის მარტიდან ხელმოწერით გამოსცემს შემდეგ წიგნებს:

1. ბერნარდო გიმარაესი „მონა ქალი იზაურა“.
2. ლეოპოლდ ზახერ-მაზოხი „ვენერა ბეწვის ტანსაცმელში“ (სიყვარული ცნობიერების მიღმა).
3. რეშად ნური გიუნთექინი „ნარჩიტა“.
4. დანიელ დეფო „მოლ ფლენდერსი“ (ცხოვრება უზნეო ქალისა).
5. ემილ ზოლა „ნანა“.
6. ინაიათ — ულ-ლაჰ-ქანბუ „ერთგული და მოღალატე ცოლები“.
7. ვლადიმერ ნაბოკოვი (აშშ) — „ლოლიტა“ (მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკული რომანი).
8. თამარ სულაქველიძე — „ქართული სამზარეულო“ (პირველი შევსებული გამოცემა).
9. პიკანტური კულინარია.
10. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ენციკლოპედია.

ხელმოწერის მსურველებმა ხელმოწერის თანხა (10 მან.) უნდა გადმორიცხონ საფოსტო გზავნილით კოოპერატივის საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 400461470, კოდი 521664 თბილისის ბინსოცბანკის საბურთალოს განყოფილებაში და გამოგზავნოთ თქვენი საფოსტო მისამართი ქვითრის ასლთან ერთად მისამართზე: 380004, თბილისი-4, საბონენტო ყუთი 135 „არმაზი-88“.

ქ. თბილისის მცხოვრებლებს, გარდა საფოსტო გზავნილისა, წიგნები შეუძლიათ გამოიწერონ პირადად მისამართზე: შეტრის სიდგური „სამედიცინო ინსტიტუტი“ (ცენტრალური არქივის მხრიდან) „არმაზი-88“ (რეალიზაციის განყოფილება). ხელმოწერის ვადა — 1991 წლის 5 თებერვლამდე.

ლორჯინება არგო

გვერდის სპონსორება არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორჯინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაღები გამოცდების პროგრამა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში

ზოგადი დებულებანი

რას შეისწავლის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სასწავლო კურსი. რა არის სახელმწიფო, რა არის სამართალი. მათი წარმოშობის მიზეზები. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტიპები. სახელმწიფოს ფორმები. სახელმწიფოს ფუნქციები. სახელმწიფოს მექანიზმი.

სამართლის ნორმები. სამართლის დარგები. სამართლის ფორმები (წყაროები). ნორმატიული აქტების ცნება. კანონი, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი წყარო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. სამართლებრივი ურთიერთობანი. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები (სამართლის სუბიექტები). მათი უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. სამართლის სუბიექტის უფლება და მოვალეობა.

ზნეობა და სამართალი. ზნეობის ნორმები. ზნეობის როლი სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფაში. სამართლებრივი აზროვნის შინაარსი და მნიშვნელობა.

II. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და განვითარება

სახელმწიფოებრიობის წარმოშობა საქართველოში. ქართული სამართლის ძეგლები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა და ქვეყნის ფაქტობრივი ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება.

III. კანონიერება და მართლწესრიგი

კანონიერების ცნება. მართლწესრიგის ცნება.

კანონის მიღების წესი. კანონების გამოცემა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ. სამართლის ცალკეული დარგების კანონმდებლობის საფუძვლები, კოდექსები და კანონთა კრებულები. მართლზომიერი ქცევა და სამართალდარღვევა. სამართალდარღვევათა სახეები. იურიდიული პასუხისმგებლობის სახეები. კანონის უკუქცევითი ძალა. უდანაშაულობის პრეზუმფცია.

IV. საქართველოს სახელმწიფო სამართალი

სახელმწიფო ანუ კონსტიტუციური სამართალი როგორც სამართლის დარგი.

კონსტიტუციის ცნება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდის საქართველოს კონსტიტუციები. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია გარდამავალ პერიოდში.

V. საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები

პოლიტიკური სისტემის ცნება. ხალხის თვითმმართველობა. საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური საფუძველი. პოლიტიკური პარტიების როლი და ადგილი პოლიტიკურ სისტემაში. პოლიტიკური სისტემის შემადგენელი სხვა ელემენტები.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები.

VI. სახელმწიფო და პიროვნება

სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობა. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა. სრულწლოვანების დადგომა.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

პირადი უფლებები და თავისუფლებები.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ძირითადი მოვალეობანი.

VII. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება

საქართველოს რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში.

VIII. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოთა სისტემა

სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები. სახალხო დეპუტატი — ხალხის წარმომადგენელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში.

სახალხო დეპუტატთა არჩევნები. საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. კანონი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ. კანონი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. მისი შექმნის წესი, შემადგენლობა. მის გამგებლობაში შემავალი საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. მისი შექმნის წესი და შემადგენლობა, მისი უფლებამოსილება.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

IX. საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები

საქართველოს რესპუბლიკის საალაბორლო ორგანოები. მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი. მისი დანიშვნის წესი.

შინაგან საქმეთა ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები.

X. შრომის სამართალი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია შრომის უფლებისა და შრომითი მოვალეობების შესახებ. შრომის ხელშეკრულება. სამუშაოზე მიღების და გაფორმების წესი. სხვა სამუშაოზე გადაყვანა. სამუშაოდან დათხოვნის საფუძვლები და წესი. შრომის წიგნაკი. ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის თავისებურებანი. შრომის დისციპლინა. მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა.

სამუშაო დრო და დასვენების დრო. მოზარდთა სამუშაო დრო. არასრულწლოვანთა შვებულება. შეღავათები იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც სწავლას უთავსებენ შრომას.

შრომის დაცვა. ქალთა და არასრულწლოვანთა შრომის დაცვა. შრომის ანაზღაურება.

XI. სამოქალაქო სამართალი

სამოქალაქო სამართლის ცნება. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილენი. სამოქალაქო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. საკუთრების უფლება. სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებანი. სახელშეკრულებო ვალდებულებანი. ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებანი. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება.

XII. საოჯახო სამართალი

საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა. ქორწინების წესი და პირობები. მეუღლეთა უფლებები და მოვალეობანი. მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობათა წარმოშობა. მშობელთა უფლებანი, მოვალეობანი და პასუხისმგებლობა. შვილების მოვალეობანი.

XIII. ადმინისტრაციული სამართალი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა). ადმინისტრაციული სახდელების სახეები. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისთვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წვრილმახი დატაცებისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნადირობის წესების დარღვევისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ისტორიის და კულტურის ძეგლების დაცვის წესების დარღვევისათვის.

XIV. სისხლის სამართალი

დანაშაულის ცნება, პასუხისმგებლობა დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. აუცილებელი მოგერიება და დამნაშავის შეპყრობა. უკიდურესი აუცილებლობა. ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. სასჯელი და მისი სახეები. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობა სახელმწიფო და მოქალაქეთა საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულისათვის. პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის. პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის. პასუხისმგებლობა იარაღის, საბრძოლო მასალებისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონო ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადების ან გასაღებისათვის. ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან გასაღება.

ამ დღეებში ბევრი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლის გამო მოგვიხდა სამძიმრის თქმა. ის ვაჟკაცები თავისი მიწა-წყლის დაცვას შეეწირნენ, საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ემსხვერპლნენ, 26 წლის თბილისელ თამაზ გელაშვილს კი ბენზინის ურიგოდ აღების მსურველმა მოძალადეებმა მოუსწრაფეს სიცოცხლე. უაზროდ ნასროლმა ტყვიამ შეწყვიტა სიკეთით სავსე, მეგობრებისა და ახლობლებისათვის თავდადებული, მამულის სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე.

თამაზ გელაშვილი თითით საჩვენებელი გიჟი იყო, არაჩვეულებრივად ფაქიზი ბუნებისა. მისი ყველა ნაბიჯი სიკეთითა და მაღალი ზნეობით იყო ნაკარნახევი, უშუალობა და ხალასი იუმორი გამოარჩევდა სხვათაგან. წავიდა და დაგვიტოვა უნაპირო სევდა და ნაღველი. ჩვენს მწუხარებას კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ იგი ასე ულვთოდ დაიღუპა დღეს, როცა ასერიგად უჭირს საქართველოს, როცა ქალიან ძვირად გვიღირს თითოეული ქართველის სიცოცხლე.

ღმერთო, გვაფიორე ასეთი უაზრო მსხვერპლი.

ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის № 2312 ჯგუფის სტუდენტები.

თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1991 წლის მისაღებ გამოცდებზე სპეციალობების მიხედვით ჩაბარდება შემდეგი დისციპლინები:

I. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),
2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი),
3. საქართველოს ისტორია (ზეპირი),
4. უცხო ენა (ზეპირი).

II. ისტორიის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),
2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი),
3. საქართველოს ისტორია (ზეპირი),
4. უცხო ენა (ზეპირი).

III. რუსული ენისა და ლიტერატურის (ქართული ენა — ლიტერატურით) სპეციალობაზე:

1. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა),
2. რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი),
3. საქართველოს ისტორია (ზეპირი),
4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

IV. დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა),
2. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი),
3. მათემატიკა (ზეპირი),
4. საქართველოს ისტორია (ზეპირი).

V. მათემატიკა-ინფორმატიკის სპეციალობაზე:

1. მათემატიკა (წერა),
2. მათემატიკა (ზეპირი),
3. ფიზიკა (ზეპირი),
4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

VI. ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე:

1. მათემატიკა (წერა),
2. მათემატიკა (ზეპირი),
3. ფიზიკა (ზეპირი),
4. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

VII. თავდაცვითი ფიზკულტურის სპეციალობაზე:

1. სპეციალობა:
ა) დაწყებითი სამხედრო-მომზადება (ზეპირი),
ბ) საერთო ფიზიკური მომზადება (ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში),
2. ბიოლოგია (ზეპირი),
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

VIII ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე:

1. საერთო ფიზიკური მომზადება (ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში),
2. ბიოლოგია (ზეპირი),
3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

თბილისი — სტამბული — თბილისი

სატრანსპორტო ფირმა „გლობუსი“ აწარმოებს მგზავრთა გადაყვანას კომფორტული „იკარუსის“ მარკის ავტობუსებით მარშრუტით:

თბილისი — სტამბული — თბილისი.

სტამბულში ყოფნის ხანგრძლივობა არის 3 დღეღამე. დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ, მიმართოთ მისამართზე:

კანკავას ქ. 3. (საბჭოს ქ. 12)
ელსმენი: 96-94-49

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

ხალვაზრდა ვერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, სუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ჟერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380092, თბილისი-92, ს. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარიულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.